კოალიცია თანასწორობისთვის

თანასწორობის მდგომარეობა
საქართველოში

2024

ავტორი: ეკატერინე სხილაძე

ანგარიში მომზადებულია „კოალიცია თანასწორობისთვის“ მიერ, სამოქალაქო საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით. ანგარიშში მოცემული ინფორმაცია და შინაარსი არის მხოლოდ კოალიციის მოსაზრება და არ ასახავს სამოქალაქო საზოგადოების ფონდის შეხედულებებს ან ოფიციალურ პოლიტიკას.

„კოალიცია თანასწორობისთვის” არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'' კანონის მიღების პროცესში შეიქმნა და ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მანდატის გაძლიერებას და დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

სარჩევი

შესავალი **3**

საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარჩო **4**

თანასწორობის ორგანო და ინსტიტუციური მექანიზმები **10**

დისკრიმინაციის წახალისება, სიძულვილის ენა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები **12**

სოციალურ და შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაცია **14**

დისკრიმინაციისგან დაცული ჯგუფები **15**

ქალთა თანასწორუფლებიანობა 15

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა 17

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა 18

ლგბტქი+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა 19

რელიგიური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა 22

ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა 24

დასკვნა **25**

რეკომენდაციები **26**

შესავალი

2024 წელს, საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა კრიტიკულად გაუარესდა, რასაც თან სდევდა თანასწორობის მიმართულებით არსებული გამოწვევების გაღრმავება და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობის დამძიმება.

წლების განმავლობაში, საკანონმდებლო თუ ინსტიტუციურ დონეზე განხორციელებული პოზიტიური ცვლილებები და მიღწეული პროგრესი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა სახელმწიფო პოლიტიკის მკვეთრმა ცვლილებამ. ერთი მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკიდან თანასწორობის საკითხების გაქრობამ და მეორე მხრივ, ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსის ცვლილებამ კიდევ უფრო დაამძიმა არსებული ვითარება.

თანასწორუფლებიანობის იდეას საფუძველს აცლიდა 2024 წელს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები. დისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღებით, არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ განხორციელებული რეპრესიებით, განსხვავებული მოსაზრების დევნის და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პირობებში, დღის წესრიგიდან გაქრა ის გამოწვევები, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს აწუხებს.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით[1], საფრთხის ქვეშ დადგა საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირება; განსაკუთრებით მათი, რომლებიც წლების განმავლობაში ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესებაში კრიტიკულ როლს ასრულებდნენ. კანონის ინიცირებას თან სდევდა არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციისკენ მიმართული კამპანიები; მათ შორის, სახელისუფლებო მედიასაშუალებების გამოყენებით. იმ ფონზე, როდესაც საქართველოში მოწყვლადი ჯგუფებისთვის სერვისების უმრავლესობა, სწორედ, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება, კანონის მოქმედება განსაკუთრებით მძიმედ აისახება თანასწორობის მდგომარეობაზე.

მოგვიანებით, საქართველოს კანონით „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“[2] და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით, ინსტიტუციონალიზებული იქნა პოლიტიკური ჰომოფობია და გაღრმავდა სოციალური უთანასწორობა. ამასთან, შეიზღუდა ლგბტქი+ თემის წარმომადგენლების რიგი ფუნდამენტური უფლებები; მათ შორის, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის, დასაქმების, განათლების, ინფორმაციის თავისუფლების, შეკრების და გამოხატვის მიმართულებით. განათლების სფეროში დაწესებული შეზღუდვები, კერძოდ, საგანმანათლებლო პროცესიდან სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საკითხების გაქრობა საფრთხეს უქმნის სხვადასხვა პროფესიული ჯგუფების განათლების მნიშვნელობას, როგორებიცაა ექიმები, იურისტები და სხვა.

საჯარო დისკურსში სულ უფრო მეტად დომინირებს ნარატივები, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების გარიყვას და სტიგმატიზაციას, რაც კიდევ უფრო აზიანებს თანასწორობის, მრავალფეროვნების და ტოლერანტობის პრინციპებს. სიძულვილის ენამ და

---

[1] *უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ საქართველოს კანონი. 2024. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6171895?publication=0*

[2] *საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ.2024. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0*

დისკრიმინაციულმა რიტორიკამ, რომელსაც ხშირად იყენებენ საჯარო და პოლიტიკური თანამდებობის პირები, კიდევ უფრო გააღრმავა მტრული გარემო; განსაკუთრებით, ლგბტქი+ პირებისთვის, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის მექანიზმების რღვევა, რაც სახელმწიფოს რეპრესიული პოლიტიკის შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის არსებობდა კრიტიკა სახელმწიფოს მხრიდან სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვადასხვა ჯგუფების არსებითი მონაწილეობის გამოწვევების შესახებ, დიალოგისა და თანამშრომლობის არსებული პროცესების გაუქმებამ, შეარყია ნდობა და ძირი გამოუთხარა კოლექტიური ძალისხმევის იდეას სისტემური დისკრიმინაციის წინააღმდეგ. რამაც, თავის მხრივ, შეაჩერა თანასწორობის მიღწევისკენ მიმართული ყველა მნიშვნელოვანი პროცესი.

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია 2024 წელს საქართველოში თანასწორობის მდგომარეობის მიმოხილვა, საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სოციალური გამოწვევების მიმართულებით. ანგარიშის მიზანია შეაფასოს თანასწორობის მიმართულებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და წარმოადგინოს ქმედითი რეკომენდაციები, ერთობლივი ძალისხმევისთვის ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესების და თანასწორობის მიღწევისთვის.

საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარჩო

თანასწორობის უფლება საქართველოს კონსტიტუციის ფუნდამენტური პრინციპია. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია და აკრძალულია დისკრიმინაცია.[3] მიუხედავად იმისა, რომ მე-11 მუხლში დისკრიმინაციის აკრძალვის ყველა საფუძველი პირდაპირ არ არის მითითებული, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2008[4] და 2014 წლებში[5] მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო და განმარტა, რომ დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძვლების ჩამონათვალი კონსტიტუციაში არ არის ამომწურავი. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩამონათვალი უნდა განიმარტოს დინამიურად და ინკლუზიურად, რათა მოიცავდეს სხვა მახასიათებლებსა და იდენტობებს; მათ შორის, სექსუალურ ორიენტაციას და გენდერულ იდენტობას.

2014 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.[6] აღნიშნული კანონის მიღება იყო საქართველოს საერთაშორისო

---

[3] *საქართველოს კონსტიტუცია. 1995. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36*

[4] *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 2008. ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=304*

[5] *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2014. საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2243812?publication=0*

[6] *დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი. 2014. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3*

ვალდებულებების შესრულებისა და ევროკავშირთან ინტეგრაციისკენ მიმართული ძალისხმევის ნაწილი. კერძოდ, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს დაევალა დისკრიმინაციის აღმკვეთი კანონმდებლობის მიღება. კანონის საფუძელზე, საქართველოს სახალხო დამცველი განისაზღვრა თანასწორობის ორგანოდ და დადგინდა სასამართლოში დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე მიმართვის ძირითადი წესები.

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღების შემდეგ, არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმა განხორციელდა. მათ შორის, განისაზღვრა სექსუალური შევიწროების დეფინიცია და დადგინდა მასზე რეაგირების მექანიზმები; უარი გონივრულ მისადაგებაზე განისაზღვრა დისკრიმინაციის ფორმად, შეიქმნა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების აღსრულების მექანიზმი, სასამართლოში მიმართვის გზით; ადამიანის უფლებათა სტრატეგიულ დოკუმენტებში გაჩნდა ჩანაწერები ლგბტქი+ თემის საჭიროებებზე და სხვა. პრაქტიკულ დონეზე, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა სპეციალური დეპარტამენტი, განხორციელდა პროკურორთა სპეციალიზაცია, სტატისტიკის შეგროვების და გამოქვეყნებისთვის მართლმსაჯულებაში მონაწილე უწყებებს შორის დაიდო ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი და სხვა.

სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში, სახელმწიფო პოლიტიკის რადიკალური ცვლილებით არათუ შეჩერდა აღნიშნული პროცესები, არამედ სახელმწიფო გადაიქცა დისკრიმინაციის მთავარ ჩამდენად. დისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღებით და პრაქტიკაში თანასწორობისგან დაცლილი პოლიტიკის წარმოებით, მიღწეული შედეგებიც დაიკარგა. საზოგადოებაში გაქრა ნდობა არსებული მექანიზმებისადმი, ხოლო თავად მექანიზმების საქმიანობა მეტად დაშორდა ხალხს და დისტანცირებული გახდა. გაუქმდა საკონსულტაციო თუ სამუშაო პროცესები, რაც ურთიერთთანამშომლობის გზით მთელი რიგი პრობლემური საკითხების სისტემური გადაჭრისთვის გამოიყენებოდა.

თავდაპირველად, სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებიდან გაქრა გენდერის საკითხები. 2023 წელს მიღებულ 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიაში[7] საერთოდ არ არის ნახსენები ლგბქტი+ საკითხები. ლგბტქი+ თემის უფლებრივი მდგომარეობის საკითხები არც ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმაში არ ასახულა.[8] 2024 წლის ევროკავშირის გაფართოების ანგარიშში საქართველოს შესახებ, მოცემულია რეკომენდაციები სახელმწიფო სტრატეგიაში შესაბამისი ცვლილებების ასახვისთვის, რათა ის მოიცავდეს ყველა ჯგუფის, მათ შორის ლგბტქი+ ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის საკითხებს.[9] განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც თანასწორობის უფლების განხორციელების თვალსაზრისით ლგბტქი+ თემი ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენს. თუმცა, ეს იყო პირველი ნაბიჯები შემდგომში უფრო

[7] *საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022–2030 წლებისთვის). 2023. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5757268?publication=0*

[8] *ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმა. 2023. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6053557?publication=0*

[9] *2024 წლის ევროკავშირის გაფართოების ანგარიში საქართველოს შესახებ. 2024. ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/7b6ed47c-ecde-41a2-99ea-41683dc2d1bd_en?filename=Georgia%20Report%202024.pdf*

რეპრესიული მიდგომების და სახელმწიფომ არათუ პოლიტიკის დოკუმენტებიდან გააქრო ეს საკითხები, არამედ კანონის დონეზე აკრძალა ძირითადი უფლებების განხორციელება.

2024 წელს მიღებული იქნა კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“[10]; რუსული კანონის ანალოგი, რომელიც აწესებს არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაციას სპეციალურ რეესტრში და სახელმწიფოს აძლევს წვდომას, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებზე[11]. ამასთან, კანონი წარმოშობს რელიგიის თავისუფლებაში ჩარევის რისკებს, რადგან მისი მოქმედება ვრცელდება არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსის მქონე რელიგიურ ორგანიზაციებსა და ასევე, მათთან არსებულ, საქველმოქმედო და სოციალური საქმიანობის განმახორციელებელ ორგანიზაციებზე.[12] აღნიშნული კანონის მიღება, საზოგადოების პროტესტის და საერთაშორისო ორგანიზაციების მოწოდებების მიუხედავად, მაინც მოხდა. კანონის განხილვას თან სდევდა არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ დეზინფორმაციისა და დისკრედიტაციის კამპანია, რაც პოლიტიკოსების და სახელისუფლებო მედიასაშუალებების ჩართულობით ხდებოდა. აღნიშნულმა დიდი რისკი შექმნა, განსაკუთრებით, რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციებისთვის. დისკრედიტაციის კამპანია მოიცავდა ხელისუფლების მართული ჯგუფების მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისებზე, თანამშრომელთა და უფლებადამცველთა საცხოვრებელი სახლის კედლებზე შეურაცხმყოფელი წარწერების დატოვებას და პოსტერების გაკვრას. ამ პროცესში მონაწილე არცერთი პირის იდენტიფიცირება არ მომხდარა და მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დრომდე არ დამდგარა. მსგავსი პრაქტიკების პარალელურად რამდენიმე ლგბტქი+ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციას მისამართის შეცვლაც მოუწია.

აღსანიშნავია, რომ კანონის მიღება მშვიდობიანი პროტესტის ფონზე მიმდინარეობდა, თუმცა მის საწინააღმდეგოდ ხელისუფლება ძალადობრივ მეთოდებს მიმართავდა. ადგილი ჰქონდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისა და მესამე პირების მხრიდან ფიზიკური ძალადობისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის არაერთ შემთხვევას. ამასთან, აქციის უსაფუძვლო დაშლა, სპეციალური საშუალებების წესების დარღვევით გამოყენება და მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ არასათანადო მოპყრობის პრაქტიკები ამ ძალადობრივი ქმედებების არასრული ჩამონათვალია.[13]

2024 წლის 21 მაისს, ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა კანონზე დასკვნა, რომელიც ნეგატიურად აფასებს მის შესაბამისობას ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან. ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ არ არსებობს მსგავსი რეგულირების საჭიროება და გასცემდა მკაცრ რეკომენდაციას, არ ყოფილიყო მიღებული კანონი. ვენეციის კომისიის დასკვნის მიხედვით, კანონი ქმნის მსუსხავ ეფექტს არასამთავრობო ორგანიზაციების ლეგიტიმურ საქმიანობაზე; განსაკუთრებით კი, იმ ორგანიზაციებსა და მედიასაშუალებებზე,

---

[10] *უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ საქართველოს კანონი. 2024. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6171895?publication=0*

[11] *Ibid. მუხლი 4 (4)*

[12] *სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოების საგანგებო განცხადება. 2023 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveltan-arsebuli-religiata-da-etnikur-umtsiresobata-sabchoebis-sagangebo-gantskhadeba*

[13] *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (2024) „ადამიანის უფლებების რუსული კანონის პირისპირ“. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/355EK*

რომლებიც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად არიან განწყობილი.[14] განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ კანონი ითვალისწინებს ორგანიზაციების არანებაყოფლობით რეგისტრაციას სპეციალურად შექმნილ რეესტრში, ხოლო კანონით დაწესებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში დიდი ოდენობის ჯარიმები გამოიყენება. ამ დროისთვის, სახელმწიფოს არ გამოუყენებია რეპრესიული ბერკეტები, არანებაყოფლობითი რეგისტრაციის თუ დაჯარიმების სახით.

სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებიდან ლგბტქი+ საკითხების გაქრობის პარალელურად, 2024 წელს განახლდა დისკუსია პოლიტიკური ჰომოფობიის ინსტიტუციონალიზაციისთვის და საქართველოს პარლამენტმა დაიწყო ე.წ. „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის განხილვა[15], რომელიც მიღებულ იქნა და ძალაში შევიდა 2024 წლის 2 დეკემბრიდან. კანონი არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და საერთაშორისო სტანდარტებს; ასევე, სრულ შეუსაბამობაშია 2014 წელს მიღებულ კანონთან „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. კანონის მიხედვით, არსებითი შეზღუდვები დაწესდა გამოხატვის და შეკრების თავისუფლების, ინფორმაციის გავრცელების, სამოქალაქო ქორწინების, გენდერის სამართლებრივი აღიარების, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე. ამასთან, დისკრიმინაციული აკრძალვებისთვის ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრა.

მსგავსი კანონმდებლობის მიღება[16] ნეგატიურად შეაფასა ვენეციის კომისიამ[17] და ხაზი გაუსვა, რომ კანონპროექტი შეიცავს დებულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებებს. კერძოდ, ვენეციის კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია ოჯახური ღირებულებების დაცვაზე მიმართული კანონები არ იყოს გამოყენებული მარგინალიზებული ჯგუფების, მათ შორის, ლგბქტი+ პირების უფლებების შეზღუდვის საბაბად. რაც სამწუხაროდ საქართველოს ხელისუფლების მიერ სრულიად საწინააღმდეგოდ იქნა განმარტებული და ბავშვთა უფლებების საფარქვეშ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვა დააკანონა.

კანონის მიღება ნეგატიურად შეფასდა სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მხრიდან; თანასწორობის კოალიციის განცხადებაში[18] მითითებულია, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი და სტიგმატიზირებული ჯგუფი ლგბტქი+ თემია, ხოლო მცდარ და სიძულვილის ნარატივებზე დაფუძნებული კანონი ახალისებს სიძულვილით მოტივირებულ ძალადობას და ხელს უწყობს ისედაც სტიგმატიზირებული ადამიანების მიმართ სიძულვილის გაძლიერებას. აღნიშნულს ადასტურებს ლგბტქი+ საკითხებზე მომუშავე სათემო ორგანიზაციების პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც, კანონის

---

[14] *ვენეციის კომისია. სასწრაფო მოსაზრება კანონზე უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ. 2024. ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2024)013-e*

[15] *საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ.2024. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0*

[16] *ვენეციის კომისიის მიერ მომზადებული დასკვნა მიემართება კონსტიტუციური ცვლილების კანონპროექტს, რომელიც არსებითად მიღებული კანონის მსგავსია.*

[17] *ვენეციის კომისია. მოსაზრება კანონის პროექტზე ოჯახური ფასეულობებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ. 2024. ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)021-e*

[18] *განცხადება ხელმისაწვდომია: http://equalitycoalition.ge/article/151*

მიღების შემდეგ გაიზარდა თემის წევრების მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციისა და შევიწროების შემთხვევები.[19]

კანონის განხილვის პარალელურად, წინასაარჩევნო პერიოდი გამოირჩეოდა სიძულვილის და დისკრიმინაციული ენით დატვირთული პოლიტიკური გარემოთი. მმართველი პარტია დეზინფორმაციის გავრცელებით და სხვა, თანასწორობის მდგომარეობის დამაზიანებელი ქმედებებით ცდილობდა ამომრჩევლის მხარდაჭერის მობილიზებას, რითაც ახალისებდა დისკრიმინაციას და აძლიერებდა საზოგადოებაში არსებულ სტიგმას. ქსენოფობიური, ჰომოფობიური და დისკრიმინაციის წამახალისებელი ნარატივები ყოველდღიურად გამოიყენებოდა როგორც პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, ისე საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის დასაზიანებლად. განსაკუთრებით საგანგაშოდ უნდა შეფასდეს პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების" მცდელობა, მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად გამოეცხადებინა. აღნიშნულს თავად საქართველოს საპატრიარქოც გაემიჯნა.[20]

პოლიტიკური პროცესები ფაქტობრივად ჩიხში შეიყვანა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, საზოგადოების დაშინებისა და არჩევნების გაყალბების სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებამ. საპარლამენტო არჩევნების შედეგებს არ იზიარებენ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები და საზოგადოების ფართო ჯგუფები, რომელთა მოსაზრებები გამყარებულია მათ შორის საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან არჩევნების ლეგიტიმურობის არ ცნობით. აღნიშნული დაადასტურა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ანგარიშმაც, რომელიც მიუთითებს, რომ ადგილი ჰქონდა ამომრჩევლებზე ზეწოლას და ხმის ფარულობის მასობრივ დარღვევას, რამაც საარჩევნო დღეს, სხვა პრაქტიკებთან კომბინაციაში, ამომრჩეველს შიშის გარეშე ხმის მიცემის შესაძლებლობა არ მისცა. ხოლო არჩევნების შემდეგ, სათანადოდ არ განიხილებოდა საჩივრები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები იყო შეზღუდული. ანგარიში ასევე ნეგატიურად აფასებს მშვიდობიანი დემონსტრანტების დაკავებას და პროტესტის ძალისმიერი ჩახშობის მცდელობას ხელისუფლების მხრიდან.[21]

ძლიერი საპროტესტო ტალღა მოჰყვა ხელისუფლების განცხადებას, რომ 2028 წლის ბოლომდე, უარს ამბობენ ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნაზე. პროტესტის მთავარ მოთხოვნად განმეორებითი არჩევნების ჩატარება განისაზღვრა. ხელისუფლების მხრიდან, მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ გამოყენებული იყო უპრეცედენტო ძალადობის მასშტაბები. ერთი მხრივ, ადგილი ჰქონდა აქციების დაშლას სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანების მიმართ ძალადობას, წამებასა და არასათანადო მოპყრობას სამართალდამცავი უწყებების

---

[19] *ფოკუს ჯგუფის შეხვედრა სათემო ორგანიზაციებთან. 20 დეკემბერი, 2024 წელი.*

[20] *ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI). (2024). წინასაარჩევნო პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემოს მიმოხილვა. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/3lqVn*

[21] *ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი. საქართველო, საპარლამენტო არჩევნები, 2024 წლის 26 ოქტომბერი: საბოლოო ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.osce.org/odihr/elections/georgia/584029*

წარმომადგენელთა მხრიდან.[22] არაერთი ადამიანი იქნა უსაფუძვლოდ დაკავებული, რომელთა უმრავლესობაც მიუთითებს ძალადობის შემთხვევებზე, რაც მათ შორის, დისკრიმინაციულ დანაშაულად უნდა შეფასდეს, განსხვავებული მოსაზრების ნიშნით. ადგილი ჰქონდა დაკავებულების მიმართ სიტყვიერ სექსუალურ შევიწროებას და გაუპატიურების მუქარას. საქართველოს სახალხო დამცველმა ქალის მიმართ სექსუალური შევიწროების ფაქტის შესწავლა დაიწყო, რომელიც მიუთითებს პოლიციის წარმომადგენელთა მხრიდან სიტყვიერი სექსუალური შევიწროების შესახებ.[23]

ამასთან, პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების" ლიდერები აქტიურად ცდილობდნენ მშვიდობიანი საპროტესტო აქციების დისკრედიტაციას, განსაკუთრებით, ქრისტიანობის კონტექსტში, და იყენებდნენ საქართველოს საპატრიარქოს მხარდაჭერას. ამის ნათელი მაგალითია აქციის მონაწილეთა მიმართ გამოთქმული მოსაზრებები, რომ ისინი უგულებელყოფენ სარწმუნოებას და სასულიერო პირების მიერ აქციების წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაციები.[24]

განსხვავებული მოსაზრებების დევნის და საჯარო მოხელეებზე ზეწოლად უნდა შეფასდეს 2024 წლის 13 დეკემბერს, საქართველოს არალეგიტიმური პარლამენტის მიერ დაჩქარებულად, მესამე მოსმენით საჯარო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებების მიღება. კანონი ასუსტებს საჯარო მოხელეთა უფლებრივი დაცვის გარანტიებს, ამარტივებს რეორგანიზაციის წესს და განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების და მოადგილეების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაზე გადაყვანას, რაც მათ დისკრიმინაციულ გათავისუფლებას, თვითნებურ დანიშვნას და ზოგადად პროცესის პოლიტიზირებას უზრუნველყოფს.[25] კანონპროექტის განხილვას წინ უძღვოდა პოლიტიკოსების მხრიდან საჯაროდ გაკეთებული განცხადებები, რომლებიც მიუთითებდნენ რომ საპროტესტო აქციებზე მონაწილე საჯარო მოხელეების მიმართ შესაბამისი ღონისძიებები გატარდებოდა. მათ შორის, ქალაქ თბილისის მერიც, სადაც დეკემბრის თვეში არაერთი თანამშრომელი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან ან არ გაუგრძელეს შრომითი ხელშეკრულება.

მთლიანობაში, 2024 წელს თანასწორობის საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკა ნეგატიური მიმართულებით შეიცვალა და თავად სახელმწიფო მოგვევლინა დისკრიმინაციის მთავარ აღმსრულებლად და წამახალისებლად. დისკრიმინაციული კანონმდებლობის შექმნით, ლეგიტიმური პროცესების დაზიანებით და გამოხატვის თავისუფლების ძალადობრივი მეთოდებით ჩახშობის მცდელობით ის მცირე პროგრესიც დაიკარგა რაც წლების განმავლობაში ერთობლივი მუშაობით იქნა მიღწეული. არ არსებობს თანამშრომლობის პლატფორმა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არალეგიტიმური

---

[22] *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. საქართველოში საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ წამებისა და არასათანადო მოპყრობის კვლევის წინასწარი მიგნებები. 2024. ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/tsameba-da-araadamianurimopkroba-saerto-gancxadeba*

[23] *საქართველოს სახალხო დამცველი. 2024. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/SprSs*

[24] *ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI). (2024). არჩევნების შემდგომ პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/J9uqk*

[25] *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების შეფასება. 2024. ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/sajaro-samsaxuris-shesaxebkanoni-cvlilebebi*

ხელისუფლების პირობებში უახლოეს მომავალში მსგავსი თანამშრომლობის აღდგენა წარმოუდგენელ ამოცანად ისახება.

თანასწორობის ორგანო და ინსტიტუციური მექანიზმები

საქართველოში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ დაინტერესებულ პირებში დისკუსიის საგანს წარმოადგენდა საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა თანასწორობის საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფდა უწყებათაშორის კოორდინაციას, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების და დაინტერესებულ პირთა ჩართულობით შესაბამისი პროგრამების და ინტერვენციების შემუშავებას. სამწუხაროდ, ამ დრომდე მსგავსი მექანიზმი არ შექმნილა.

კვლავ გამოწვევად რჩება თანასწორობის საკითხებზე ეფექტიანი კოორდინაცია და კომუნიკაცია ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე. ამასთან, თანასწორობის საკითხები გამჭოლ ხაზად არ გასდევს საქართველოს პარლამენტის, თუ მთავრობის დონეზე არსებული სხვა მექანიზმების საქმიანობას. ამის საპირწონედ, სამთავრობო უწყებები უშუალოდ მონაწილეობენ თანასწორობის დამაზიანებელი პოლიტიკის წარმოების პროცესში. ამასთან, არსებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე შეჩერებულია არსებული მექანიზმების საქმიანობაც, როგორიცაა, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო და საქართველოს მთავრობის გენდერული თანასწორობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე კომისია. ამ მექანიზმების ფორმალური ხასიათის და არაფექტიანობის შესახებ წლების განმავლობაში არსებული პრობლემები კიდევ უფრო მეტად დაამძიმა მათმა უშუალო მონაწილეობამ დისკრიმინაციული კანონმდებლობის, თუ პრაქტიკის შექმნის პროცესში. უფრო მეტიც, თავად ამ საკოორდინაციო მექანიზმის წარმომადგენლები გამოირჩეოდნენ დისკრიმინაციის ხელშეწყობით და სიძულვილის გაღვივების მცდელობებით.

მიუხედავად იმისა, რომ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში არსებობს საკონსულტაციო საბჭო, ის მხოლოდ ეთნიკური უმცირესობის საკითხებს მოიცავს და მისი საქმიანობა არ არის ინკლუზიური განსხვავებული შეხედულების მქონე ორგანიზაციების, თუ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის. კრიტიკა არსებობს მისი ფორმალური ხასიათის შესახებაც.[26] რელიგიის საკითხებზე ერთადერთ დამოუკიდებელ მექანიზმად საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო რჩება, თუმცა, 2024 წელს, ხელისუფლების დეზინფორმაციის სამიზნე ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელიც გახდა.[27] რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო არაერთგზის მოექცა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ანგარიშების ფოკუსში; მათ შორის, მისი მიკერძოების, რელიგიების წარმომადგენლების მიმართ მაკონტროლებელი ქცევისა და სახელმწიფო პოლიტიკის ინტერესების გატარების მცდელობის გამო.[28]

---

[26] *სოციალური სამართლიანობის ცენტრი. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მანდატის და საქმიანობის კრიტიკული ანალიზი. 2023. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/YEgkz*

[27] *ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32786813.html*

[28] *სოციალური სამართლიანობის ცენტრი. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობის კრიტიკული ანალიზი, 2020. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/religiis-sakitkhta-sakhelmtsifo-saagentos-sakmianobis-kritikuli-analizi-1*

სახელმწიფომ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ყველა შესაძლებლობას რეპრესიით და დისკრედიტაციით უპასუხა, რამაც დააზიანა კომუნიკაციის და კოორდინაციის პროცესი. შესაძლოა ითქვას, რომ 2024 წელს, არცერთი სამუშაო ჯგუფის თუ საკონსულტაციო მექანიზმის საქმიანობა არ წარმართულა. ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისი ნეგატიურად აისახა, მათ შორის, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოების საქმიანობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველს, როგორც თანასწორობის ორგანოს, განსაკუთრებული როლი აქვს დისკრიმინაციის შემთხვევების პრევენციისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით; მომხდარი ფაქტების შესწავლისა და შესაბამისი რეკომენდაციების, თუ წინადადებების მომზადების პროცესში.[29] სამწუხაროდ, საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობაში შეინიშნება სახელმწიფო პოლიტიკის გავლენა, რაც მის საჯარო პოზიციონირებაში ლგბქტი+ საკითხების გაქრობით გამოიხატება. ბოლო ათწლეულის განმავლობაში პირველად, სახალხო დამცველს არ გაუკეთებია განცხადება 2024 წლის 17 მაისს, ჰომოფობიის, ტრანსფობიისა და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს. იმის გათვალისწინებით, თუ როგორი დაუცველია ლგბქტი+ თემი პოლიტიკური ჰომოფობიისა და პრაქტიკების პირობებში, მსგავსი განცხადების საჭიროება კიდევ უფრო მეტად იდგა. ამას ადასტურებს სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული თანამშრომლების სოციალურ ქსელში გაკეთებული საჯარო განცხადება, რომლებიც ამ დღის მნიშვნელობას და ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს მიმოიხილავს.

ამ დრომდე არ გამოქვეყნებულა საქართველოს სახალხო დამცველის პოზიცია და შეფასება ანტი ლგბტქი+ ე.წ. „ოჯახური ღირებულებების და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონზე; მიუხედავად იმისა, რომ კანონის მოქმედება პირდაპირ უკავშირდება სახალხო დამცველის, როგორც თანასწორობის ორგანოს საქმიანობას. აღნიშნულ საკითხზეც, მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა განცხადება გავრცელდა.

კრიტიკულად უნდა შეფასდეს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ არწივანში მომხდარი დისკრიმინაციის ფაქტის შესახებ. 2024 წლის 2 თებერვალს, სკოლაში სადაც მასწავლებლებისა და მოსწავლეების უმრავლესობა მუსლიმია, სამასწავლებლო და საკლასო ოთახები აკურთხეს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებმა.[30] აღნიშნულ ქმედებას, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხრიდან სკოლის მიმართ წერილობითი გაფრთხილება მოჰყვა, რაც მუსლიმი მასწავლებლების განცხადებით, არ იყო საკმარისი სკოლაში არსებული დისკრიმინაციული გარემოს შესაცვლელად და მათ კვლავ ავიწროვებდნენ. აღნიშნული ფაქტების დადასტურების მიუხედავად, საქართველოს სახალხო დამცველმა საქმის წარმოება შეწყვიტა, რადგან მიიჩნია რომ აღმოფხვრილი იყო დისკრიმინაციის შედეგები და ქმედებებზე პასუხისმგებელი პირი დირექტორის მოვალეობას აღარ ასრულებდა. გამომდინარე იქიდან, რომ რელიგიური ინდოქტრინაციის თუ პროზელიტიზმის გავლენა არსებითია სასკოლო გარემოზე და როგორც წესი აქვს სტრუქტურული ხასიათი, მხოლოდ ერთი ადამიანის სასკოლო გარემოდან ჩამოშორება არ ქმნის დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრის წინაპირობას, ამასთან, კითხვის ნიშნის ქვეშ

---

[29] *დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი. მე-6 მუხლი. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3*

[30] *ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/news/514108/#gsc.tab=0*

დგას საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გატარებული ქმედების ეფექტიანობაც.

ზემოაღნიშნული შემთხვევები მიუთითებს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის ანტიდისკრიმინაციული მანდატი დასუსტდა არსებული პოლიტიკის გავლენებით და ის არ მოიცავს ყველა სოციალური ჯგუფის საკითხებს. საჯარო პოზიციონირება და ყველა ბერკეტის გამოყენება დისკრიმინაციული კანონმდებლობის თუ პრაქტიკების წინააღმდეგ, სახალხო დამცველის მანდატის არსებითი შემადგენელი ნაწილია და სავარაუდოა, რომ ამ ნაწილში არსებული გამოწვევები მის შიდა პოლიტიკასა და საქმიანობაზეც მოახდენს გავლენას.

მნიშვნელოვანი გამოწვევაა 2024 წელს მიმდინარე საპროტესტო აქციების პარალელურად, სავარაუდოდ, თანამშრომელთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სსიპ შრომის ინსპექციაში. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მედიასაშუალებებმა მიიღეს ანონიმური წერილი, რომლის ავტორიც მიუთითებს, რომ შრომის ინსპექციის სამსახურის ხელმძღვანელი თანამშრომლებს საპროტესტო აქციებში მონაწილეობას უკრძალავს, რასაც მალევე მოჰყვა შრომის ინსპექციის განცხადება, რომლითაც მსგავსი ფაქტები უარყვეს.[31] თუმცა, აღსანიშნავია, რომ სხვა საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირებიც მიუთითებდნენ მსგავსი ხასიათის შევიწროებისა და შეზღუდვის შემთხვევებზე, რასაც საქართველოს სახალხო დამცველი განცხადებით გამოეხმაურა.[32]

დისკრიმინაციის წახალისება, სიძულვილის ენა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები

დისკრიმინაციის წახალისების და სიძულვილის ენის გავრცელების პრაქტიკა საქართველოში კვლავ შემაშფოთებლად მაღალია. ამას ხელს უწყობს სახელმწიფო თანამდებობის პირების, პოლიტიკოსების და მედიასაშუალებების მიერ მსგავსი ნარატივების გავრცელების ხელშეწყობა. ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება პოლიტიკური სიძულვილი და ჰომოფობია, როდესაც გადაწყვეტილების მიმღები პირები თუ აზრის ლიდერები საზოგადოებაში სიძულვილს აღვივებენ და ხელს უწყობენ დისკრიმინაციას.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ („რუსული კანონი“) საქართველოს კანონის მიღების პარალელურად, გაიზარდა პოლიტიკოსების მიერ დისკრიმინაციული გამონათქვამები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიმართ, რაც ძალადობრივ ქმედებებში გადაიზარდა. საქართველოს პარლამენტის წევრის დიმიტრი სამხარაძის მიერ გაკეთებულ მოწოდებას[33], არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისებზე შეურაცხმყოფელი წარწერები და პლაკატები მოჰყვა. აღნიშნული ფაქტი ცალსახად მიუთითებს, რომ ძალადობრივი ჯგუფები მმართველი პარტიის დავალებას ასრულებდნენ და მათ მიერ იმართებიან. ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლების სახლებთანაც გაჩნდა მსგავსი წარწერები, რაც ადამიანებში დაუცველობის და შიშის გაჩენას

[31] *ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/727193-shromis-inspektsia-tquilia-rom-tanamshromlebi*

[32] *საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/geo/190308042016siakhleebi/sakhalkho-damtsveli-sajaro-mokheleta-shromiti-uflebebis-sakitkhs-ekhmianeba*

[33] *ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/718849-kartulma-otsnebam-aghiara-rom-partiebtan*

ისახავდა მიზნად. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემური იყო ლგბქტი+ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის, რომელთა ნაწილს ოფისის მისამართის შეცვლა მოუწია.

განსაკუთრებით გაძლიერდა პოლიტიკური ჰომოფობია ანტი ლგბტქი+ კანონის განხილვის დროს, რაც თავდაპირველად, საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირებით და მისი რეგიონებში განხილვის პროცესით დაიწყო. პოლიტიკოსები არ ერიდებოდნენ ჰომოფობიური სიძულვილის გაღვივებას, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით მოჰყავდათ სხვადასხვა დეზინფორმაციული ხასიათის მაგალითები. ამ პროცესში გამოყენებული იყო ხელისუფლების მიერ კონტროლირებული მედიასაშუალებებიც, რომლებიც აქტიურად ავრცელებდნენ მცდარ ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა რამდენიმე განცხადება გაავრცელა დისკრიმინაციის წახალისების თაობაზე. თუმცა, არცერთი განცხადება არ უკავშირდებოდა პოლიტიკოსების მიერ გამოყენებულ ჰომოფობიურ გამონათქვამებს და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით სიძულვილის წახალისებას. უმრავლესობა შეეხებოდა ფსიქიკური ჯანმრთელობის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციულ გამონათქვამებს.[34]

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების, თუ სტატისტიკის წარმოების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, მიმდინარე წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები პირდაპირი გავლენის მატარებელია მსგავსი შემთხვევების გავრცელებაზე. ლგბქტი+ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები მიუთითებენ, რომ კანონის მიღების შემდეგ გაიზარდა ქუჩაში შევიწროების, ბულინგის და ძალადობის შემთხვევები. ამასთან, თავად თემის წევრებს არ აქვთ ნდობა სამართალდამცავი უწყებებისადმი და ხშირ შემთხვევაში მსგავსი ფაქტები რეაგირების მიღმა რჩება. განსაკუთრებით პრობლემურია ისიც, რომ თავად თემის წევრების თვითცენზურის და თავისუფალი გადაადგილების, შეკრების თუ საჯარო სივრცეებში გამოჩენის შეზღუდვით ხდება მსგავსი შემთხვევების პრევენცია და არა სახელმწიფოს ძალისხმევით. ნდობის დაკარგვა სწორედ სახელმწიფო მოხელეების მხრიდან გაკეთებულ დისკრიმინაციულ განცხადებებს უკავშირდება და აჩენს დაუცველობის განცდას.

წლების განმავლობაში წარმოებული სიძულვილი და პოლიტიკური ჰომოფობია ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ლგბტქი+ თემის წევრების ფიზიკური უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლებაზე. ჩაგვრის პრაქტიკების და პოლიტიკური ჰომოფობიის ინსტიტუციონალიზაციის თანმდევად უნდა განვიხილოთ ტრანსგენდერი ქალის, კესარია აბრამიძის მკვლელობის ფაქტიც.[35] ასევე, დაფიქსირდა ტრანსგენდერი ქალების მიმართ თავდასხმის რამდენიმე შემთხვევა. მათ შორის, ერთი შემთხვევა პოლიტიკოსის მხრიდან.[36] ამასთან, დეკემბრის თვეში განხორციელდა თავდასხმა ერთ-ერთ ბარზე ძალადობრივი ჯგუფის მიერ, რომლებიც ჰომოფობიურ შეძახილებს იყენებდნენ.

წინასაარჩევნო პერიოდში, სახელისუფლებო პარტია და მასთან დაკავშირებული მედიასაშუალებები ხშირად იყენებდნენ ქსენოფობიურ რიტორიკას და პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციას ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე ცდილობდნენ. ამის ერთი მაგალითია კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ ლიდერის, მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ წარმოებული კამპანია, რომელშიც სახელისუფლებო მედიასაშუალებებიც

---

[34] *საქართველოს სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/geo/190308042016siakhleebi*

[35] *კოალიცია თანასწორობისთვის, საჯარო განცხადება. 2024. ხელმისაწვდომია: http://equalitycoalition.ge/article/149*

[36] *ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/K9VfC*

აქტიურად იყვნენ ჩართულნი.[37] ქსენოფობიური განწყობები გაგრძელდა არჩევნების შემდეგაც, სოციალურ ქსელებში ხშირად ვხვდებოდით ბრალდებებს, თითქოს ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა და სომხებმა არჩევნები გააყალბეს ან მიითვისეს. ამასთანავე, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მიმართ გარკვეული კომენტარების ავტორები აღნიშნავდნენ, რომ „სომხებმა და აზერბაიჯანელებმა გადაგვიწყვიტეს ჩვენი ქვეყნის მომავალი."[38]

გამომდინარე იქიდან, რომ სიძულვილის ენის გამოყენების და დისკრიმინაციის წახალისების ძირითადი მონაწილეები პოლიტიკოსები და მედიასაშუალებები არიან, მნიშვნელოვანია შესაბამისი თვითრეგულირების მექანიზმების არსებობა და ეფექტიანი ფუნქციონირება. მათ შორის, ახალი არჩევნების შემდეგ, საქართველოს პარლამენტში ეთიკის კომისიის შექმნა და ეთიკის კოდექსის ამოქმედება, რომლითაც შესაძლებელი გახდება პარლამენტის წევრის მიერ გამოყენებული სიძულვილის ენის შემთხვევებზე რეაგირება. მედიასაშუალებების შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არ იზიარებდნენ სამთავრობო პროპაგანდის პრაქტიკებს და არ გაავრცელონ საზოგადოების შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია. ამასთან, მნიშვნელოვანია საქართველოს სახალხო დამცველს, როგორც თანასწორობის ორგანოს ყველა მსგავს შემთხვევაზე ჰქონდეს ეფექტიანი რეაგირება, მათ შორის საჯარო მოწოდების, ზოგადი წინადადების თუ პრობლემის შესახებ საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით.

სოციალურ და შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაცია

მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ფონზე, შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად გამოიკვეთა. მაღალი თანამდებობების პირების მიერ ღიად დაფიქსირებული მოსაზრებები, რომ აქციებში მონაწილე ადამიანების მიმართ დასაქმების ადგილზე სხვადასხვა ღონისძიება გატარდებოდა[39], პრაქტიკაში განსხვავებული მოსაზრების გამო ადამიანების შრომითი უფლებების დარღვევად გამოიხატა. ამასთან, მესამე მოსმენით პარლამენტმა მიიღო ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში, რომლის ძალაში შესვლის შემდეგ, დისკრიმინაციული შემთხვევების რაოდენობის მატებაა მოსალოდნელი.

2024 წლის 2 დეკემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის მერმა, კახა კალაძემ, ქართული ოცნების კრიტიკის გამო, თანამდებობის დატოვება მოსთხოვა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკის გაერთიანების" დირექტორს, ნინია მაჭარაშვილს. ინფორმაცია თავად ნინია მაჭარაშვილმა გაავრცელა და მიუთითა, რომ დაიბარეს ქალაქ თბილისის მერიაში და მოსთხოვეს განცხადების დაწერა, რასაც ის ღიად გამოთქმულ მოსაზრებებს უკავშირებს.[40] 27 დეკემბერს კიდევ ერთმა თანამშრომელმა, ნინო

---

[37] *ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI). (2024). წინასაარჩევნო პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემოს მიმოხილვა. გვ. 26.* ხელმისაწვდომია: *https://shorturl.at/Tfc9n*

[38] *ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI). (2024). არჩევნების შემდგომ პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო. გვ. 18. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/JSe4c*

[39] *სოციალური სამართლიანობის ცენტრი. „სოციალური სამართლიანობის ცენტრი კახა კალაძის მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში პოლიტიკური წმენდის დაანონსებას ეხმაურება". 2024. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/sotsialuri-samartlianobis-tsentri-kakha-kaladzis-mier-munitsipilitetis-meriashi-politikuri-tsmendis-daanonsebas-ekhmaureba*

[40] *ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/NofVm*

კიკნაძემ გაავრცელა განცხადება, რომ ქალაქ თბილისის მერიამ არ გაუგრძელა ხელშეკრულება, პოლიტიკური შეხედულების ღიად დაფიქსირების გამო.[41]

2024 წლის 26 დეკემბერს, სამსახურიდან გაათავისუფლეს თბილისის მერიის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანი გიგა სოფრომაძე. გათავისუფლების ბრძანებაში მითითებულია, რომ აღნიშნული კადრის აუცილებლობა აღარ დგას დღის წესრიგში, თუმცა, რეალური მიზეზი გიგა სოფრომაძის საჯარო აქტივობაა. ის ღიად აფიქსირებდა პოზიციებს მიმდინარე მოვლენებზე და მონაწილეობდა აქციებში. ასევე, იყო ერთ-ერთი მონაწილე ქალაქ თბილისის მერიაში დასაქმებული პირების საჯარო განცხადების, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის შეჩერების თაობაზე.[42]

სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მხრიდან რამდენიმე სოციალურ მუშაკს, ფსიქოლოგს და მედიატორს ეცნობა, რომ ხელშეკრულება არ გაუგრძელდებოდათ. იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში სოციალური მუშაკების კადრების სიმცირეა, ჩნდება ეჭვი, რომ ხელშეკრულების არგაგრძელების რეალური მიზეზი, ამ ადამიანების საჯარო აქტივობაა.[43]

პოლიტიკური კრიზისის და სახელმწიფოს მიერ სოციალური საკითხების უგულებელყოფის პირობებში, კიდევ უფრო მეტად ღრმავდება სოციალური უთანასწორობა საქართველოში. 2024 წელს, კვლავ მძიმე იყო მაღაროელთა უფლებრივი მდგომარეობა. სექტემბრის თვეში, ჭიათურის სოფელ შუქრუთის კოროხნალის მაღაროსთან მიმდინარე აქციების მონაწილეები, სამსახურიდან დაითხოვეს. მათი გათავისუფლება კი, მათივე განმარტებით, საპროტესტო აქციებში მონაწილეობას უკავშირდება.[44] მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება სხვა მაღაროებშიც. ონლაინ მედია პლატფორმა „მაუწყებლის“ ინფორმაციით, ტყიბულში მეშახტეების ნაწილს აცნობეს, რომ სამსახურიდან გაათავისუფლეს. სოციალურ ქსელებში ვრცელდება პოსტები, სადაც მეშახტეები სამსახურიდან გათავისუფლებას პოლიტიკურ პოზიციებს უკავშირებენ.[45]

დისკრიმინაციისგან დაცული ჯგუფები

ქალთა თანასწორუფლებიანობა

საქართველოში გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული სისტემური გამოწვევები, ნეგატიურად აისახება ქალთა ცალკეული ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობაზე. სახელმწიფოს პოლიტიკა კვლავ სუსტია პოლიტიკური მონაწილეობის გამოწვევების, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების, ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბებისა და არსებული საზიანო პრაქტიკების პრევენციის და ეფექტიანი რეაგირებისთვის.

ყოველდღიური დისკრიმინაციის და ჩაგვრის წინაშე დგანან ქალთა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები, როგორიცაა შშმ ქალები, ლბტ+ ქალები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. ზოგადი გამოწვევების პარალელურად, მრავალი ფორმით გამოხატული

[41] *ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33254801.html*
[42] *ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33253895.html*
[43] *ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/CzdaT*
[44] *ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33109634.html*
[45] *ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.mautskebeli.ge/shroma?videoId=HZeQpMA500s*

დისკრიმინაციული პრაქტიკები და სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების სიმცირე ყველაზე მეტად მათ უფლებრივ მდგომარეობაზე აისახება.

საქართველოში კვლავ გამოწვევად რჩება ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის მაჩვენებელი ბოლო წლების განმავლობაში გააუმჯობესა კვოტირების სისტემის შემოღებამ, თუმცა, 2024 წელს, საქართველოს პარლამენტმა კვოტირების მექანიზმი უპირობოდ გააუქმა. ვენეციის კომისიის შეფასებით, კვოტირების მექანიზმის გაუქმების გადაუდებელი აუცილებლობა არ არსებობდა და პროცესი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისა და ფართო კონსულტაციების გარეშე წარიმართა.[46]

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დასკვნის მიხედვით,[47] კანონის შემქმნელებმა სათანადოდ არ შეაფასეს გენდერული კვოტების გაუქმების შესაძლო ნეგატიური გავლენა და არ მოახდინეს იდენტიფიცირება პოტენციური, ალტერნატიული ზომებისა და მექანიზმების, რათა შენარჩუნდეს ქალთა წარმომადგენლობის ზრდა პოლიტიკურ პროცესებში.

ცხადია, დროებითი სპეციალური ღონისძიების გამოყენების საკითხი სახელმწიფოს მიერ საკუთარი მიხედულების ფარგლებში წყდება; თუმცა, როფორც მის შემოღებას, ისევე გაუქმებას უნდა ჰქონდეს შესაბამისი დასაბუთება და უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა. სამწუხაროდ, აღნიშნული პროცესი წარიმართა იმგვარად, რომ არ ყოფილა მტკიცებულებებზე დასაბუთებული მსჯელობა ანდა სურვილი იმისა რომ საზოგადოების ჩართულობა მომხდარიყო კონსულტაციების პროცესში; რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს სახელმწიფო პოლიტიკის კურსის ცვლილებაზე და გენდერული თანასწორობის საკითხების მიზანმიმართულ ამოღებაზე პოლიტიკის პროცესებიდან.

აღნიშნულის გარდა, პრობლემად რჩება პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობა, სექსიზმი და დისკრიმინაციული გამონათქვამები. 2024 წლის განმავლობაში, არაერთი სექსისტური გამონათქვამი გაჟღერდა, მათ შორის, პოლიტიკოსების მხრიდან, საკანონმდებლო ორგანოში.[48] ამის პარალელურად, საქართველოს პარლამენტში კვლავ არ ფუნქციონირებს ეთიკის კომისია, რომელიც მსგავსი შემთხვევების შესწავლისა და შესაბამისი რეაგირების მოხდენისთვის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი უნდა იყოს.

გამოწვევად რჩება სექსუალური შევიწროების პრაქტიკა, როგორც დასაქმების ადგილზე, ისე საზოგადოებრივ სივრცეებში. წინა წლების განმავლობაში, სახელმწიფო უწყებების გარკვეულმა ნაწილმა შეიმუშავა და დაამტკიცა სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა, რაც მისასალმებელია. თუმცა, იგივე პროცესი კერძო სექტორშიც უნდა განხორციელდეს. 2024 წელს, საქართველოს სახალხო დამცველმა რამდენიმე საქმეზე

---

[46] *ვენეციის კომისია. საქართველო - მოსაზრება გენდერული კვოტების გაუქმების შესახებ. 2024. ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)023-e*

[47] *ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი. მოსაზრება საარჩევნო კოდექსსა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში გენდერულ კვოტებთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს ორ ორგანულ კანონზე. ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/571702*

[48] *საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ქალი დეპუტატების მისამართით გამოთქმულ უხამს და შეურაცხმყოფელ რეპლიკებთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/otSeZ*

დაადგინა სექსუალური შევიწროების ფაქტი; მათ შორის, ლექტორის მხრიდან სტუდენტის, დასაქმების ადგილზე და სხვა.[49]

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოში ბავშვთა თანასწორუფლებიანობის თვალსაზრისით არაერთი გამოწვევა რჩება. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, ინკლუზიური განათლების გამოწვევები, ძალადობა და საზიანო პრაქტიკები ყოველდღიურად რისკის ქვეშ აყენებს ბავშვების კეთილდღეობას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების მდგომარეობა, რადგან არსებული სახელმწიფო პროგრამები ვერ ფარავს ოჯახების სოციალურ საჭიროებებს და ვერ უზრუნველყოფს მათი სოციალური ფუნქციის ამაღლებას. კვლავ გამოწვევად რჩება არასრულწლოვნების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების მაღალი მაჩვენებელი. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, 2024 წლის 1 იანვრიდან 28 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში არასრულწლოვანი დაზარალებულად იქნა ცნობილი 1038 სისხლის სამართლის საქმეზე.[50]

არაერთი პრობლემა რჩება ინკლუზიური განათლების მიმართულებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა საზოგადოების ცნობიერება და შშმ ბავშვთა მიმართ სასკოლო სივრცეში არსებული დამოკიდებულებები. 2024 წელს კვლავ ფიქსირდებოდა შემთხვევები, როდესაც შშმ ბავშვის სასკოლო სივრცეში ყოფნას აპროტესტებდნენ სხვა მოსწავლეთა მშობლები. ამასთან, ინკლუზიური განათლების მიმართულებით არსებული სისტემური გამოწვევები კვლავ აქტუალურია. შესაბამისი რესურსების არ ქონა, კადრების სიმცირე და სწავლების პროცესში ინდივიდუალური მიდგომის ნაკლებობა კვლავ ნეგატიურად აისახება განათლების მიწოდების ხარისხსა და შშმ ბავშვების სასკოლო პროცესებში ეფექტიანი ჩართულობის მაჩვენებელზე.

ბავშვების ციფრული უსაფრთხოება საქართველოში სერიოზულ გამოწვევად რჩება. ციფრულ პლატფორმებზე ძალადობისა და შევიწროების შემთხვევები ყოველდღიურად იზრდება, რაც ბავშვების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე ნეგატიურად აისახება. სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის კოორდინაციის ნაკლებობა და პრევენციის მექანიზმების სიმცირე კიდევ უფრო ართულებს პრობლემის მოგვარებას. განსაკუთრებით საგანგაშოა შემთხვევები, რომელიც სექსუალურ შევიწროებას ეხება და ხშირად ბავშვებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია დაცვის მექანიზმების შესახებ.

2024 წელს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა დაასრულა საქმის განხილვა რომელიც ნინოწმინდის პანსიონატში ბავშვთა უფლებების დარღვევას შეეხებოდა. კომიტეტის დასკვნის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ეფექტური კომპენსაცია დაზარალებული ბავშვებისთვის, მათ შორის: ა) სათანადო, ყოვლისმომცველი და დროული კომპენსაცია და რეაბილიტაცია განცდილი დარღვევებისთვის; ბ) დაზარალებულ ბავშვებთან საჯაროდ მოიხადოს ბოდიში; გ) ხელახლა შეაფასოს მათი მდგომარეობა, ვინც ჯერ კიდევ სახელმწიფო ზრუნვაში არიან, კონვენციის შესაბამისად; დ) ჩაატაროს ყველა სისხლის სამართლის საქმის ეფექტური, დამოუკიდებელი და სწრაფი გამოძიება და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავეები. რეპარაციის ზომები უნდა განისაზღვროს დაზარალებულ ბავშვებთან

[49] *საქართველოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/geo/191127024229seksualuri-shevitsroeba*

[50] *საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 6 დეკემბრის კორესპონდენცია N13/79443.*

კოორდინაციით, რათა გათვალისწინებულ იქნეს მათი შეხედულებები და მოსაზრებები.[51] ამ დროისთვის უცნობია რა ღონისძიებები გაატარა სახელმწიფომ კომიტეტის რეკომენდაციების შესრულებისთვის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოში შშმ პირების სტატუსის მინიჭების პროცესი ძირითადად სამედიცინო მოდელზეა დაფუძნებული, რაც ხშირად გამორიცხავს შეფასების პროცესში პირის სოციალურ და გარემო ფაქტორებს. ეს მიდგომა ზღუდავს შშმ პირების საჭიროებების სრულფასოვან შეფასებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ინტეგრაციის შესაძლებლობებს. აუცილებელია ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვა, რომელიც მეტად ინკლუზიური და მრავალგანზომილებიანია, თუმცა მისი სრულყოფილი განხორციელება ჯერ საქართველოში არ მომხდარა.

შშმ პირებისთვის საჯარო სივრცეებისა და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა კვლავაც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ქალაქებში ინფრასტრუქტურა, როგორიცაა გზაჯვარედინები, ტროტუარები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ხშირად არ არის ადაპტირებული. საჯარო და კერძო შენობების უმეტესობა შშმ პირებისთვის მისაწვდომი კვლავ არ არის.

შშმ პირების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მინიმალურია. ისინი იშვიათად არიან ჩართული პოლიტიკის ფორმირებასა და იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც უშუალოდ მათ ეხებათ. ამას ემატება შშმ პირების ინფორმირების პრობლემა, რაც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც გამოჩნდა. ხშირია შემთხვევები, როდესაც არ არიან ინფორმირებულნი, რატომ და როგორ უნდა მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, რაც მათი უფლებების სრულყოფილად განხორციელებას აფერხებს.

შშმ პირები განსაკუთრებულად მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით. ბევრი მათგანი ცხოვრობს სიღარიბეში და არ აქვს წვდომა საბაზისო რესურსებზე. სოციალური დახმარების პროგრამები ხშირად არასაკმარისია მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამას ართულებს ისიც, რომ დასაქმება შშმ პირებისთვის ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია. სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაცია და შესაბამისი გარემოს არარსებობა მნიშვნელოვნად ზღუდავს მათ შესაძლებლობას დასაქმდნენ და ჰქონდეთ ეკონომიკური გაძლიერების შესაძლებლობა.

მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ფონზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ არაერთ უფლებდარღვევის ფაქტს ჰქონდა ადგილი. აქციებზე მონაწილე სმენის სირთულის მქონე ახალგაზრდის მიმართ გამოყენებული იქნა ძალადობა და მას წაართვეს მობილური, რაც მისი კომუნიკაციისთვის უმნიშვნელოვანესია.[52] ასევე, შშმ ქალი აქტივისტის თათია დათაშვილის მიმართ ადგილი ჰქონდა მუქარის და შევიწროების შემთხვევებს მისი

---

[51] *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის 2024 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება №CRC/C/96/D/144/2021. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6264060?publication=0*

[52] *ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/726892-rogor-acama-ivanishvilis-rezhimma-demonstrantebi*

აქტივიზმის გამო[53], ქალაქ თბილისის მერიიდან გაათავისუფლეს შშმ პირი, გიგა სოფრომაძე, მისი სამოქალაქო აქტივობის გამო.[54]

ლგბტქი+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ჯგუფი ლგბტქი+ თემია. სახელმწიფო პოლიტიკის ნაკლოვანებებთან და მიზნობრივი ღონისძიებების არარსებობასთან ერთად, წლების განმავლობაში პრობლემად რჩება საზოგადოების დამოკიდებულება და განწყობები, რომელთა ცვლილებისთვის სახელმწიფო შესაბამის რესურსს არ გამოყოფს. ბოლო წლების განმავლობაში ღიად ჰომოფობიურ პოლიტიკას 2024 წელს 2 დეკემბერს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედება დაემატა, რომელიც დისკრიმინაციულ და არათანაზომიერ პირობებში ამყოფებს ლგბტქი+ ადამიანებს.

სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებიდან ლგბტქი+ საკითხების ამორიცხვასთან ერთად, დისკრიმინაციული კანონმდებლობის შემუშავების პირობებში თემის წინაშე მდგარი გამოწვევები სახელმწიფოს მიერ მართული ძალადობის პრაქტიკად იქცა. ანტი ლგბტქი+ კანონის გავლენა მრავალმხრივია თემის წევრთა ცხოვრების სხვადასხვა სფეროსა და ასპექტზე. ერთი მხრივ, კანონი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ თანასწორობის პრინციპს, ხოლო მეორე მხრივ საერთაშორისო სტანდარტებს და ვალდებულებებს, რაც ქვეყანას აქვს ნაკისრი. ცენზურის, ჯანმრთელობის, დასაქმების და განათლების რისკებთან ერთად, კანონი კრძალავს ფუნდამენტური უფლებების განხორციელებას საქართველოში და გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების გაქრობის და დისკრიმინაციის რისკში ამყოფებს მთლიანად თემს.

კანონი აწესებს შეზღუდვებს ერთი სქესის მქონე პირთა **ქორწინებასა და სამოქალაქო პარტნიორობაზე**. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის კონსტიტუციური ცვლილებებით ქორწინება ცალსახად განსაზღვრულია როგორც „ქალისა და მამაკაცის კავშირი“, თუმცა ანტი ლგბტქი+ კანონი დამატებით კრძალავს სამოქალაქო პარტნიორობის ყველა ფორმას. ამასთან, მსგავსი რეგულაცია გავლენას ახდენს სხვა ქვეყანაში დაქორწინებული პირების უფლებრივ მდგომარეობაზე, რომელთაც სურთ საქართველოში ცხოვრება და მათი კავშირის აღიარება. მაგალითისთვის, ბინადრობის ნებართვის მისაღებად, ერთი სქესის მქონე დაქორწინებული პირები ვერ ისარგებლებენ ოჯახის გაერთიანების მიზნობრიობით.

კანონის თანახმად, აკრძალულია **გენდერის სამართლებრივი აღიარების** საკითხიც. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ბოლო გადაწყვეტილებით საქართველოს სახელმწიფოს დაავალა შეიმუშაოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მექანიზმი ტრანსი ადამიანების გენდერის სამართლებრივი აღიარებისთვის და მათი პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების უზრუნველსაყოფად, კანონით სრულიად აიკრძალა სახელმწიფოს მიერ გაცემულ დოკუმენტებში სქესის მარკერის შესწორება გენდერული იდენტობის შესაბამისად.[55] აღნიშნული საფრთხის ქვეშ აყენებს სახელმწიფოს მხრიდან ამ ვალდებულებების შესრულებას და ასევე, აქრობს ყველანაირ

---

[53] *ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://publika.ge/phr-aqtivizmis-gamo-tatia-datashvils-sheurackhmyofeli-da-muqaris-shetyobinebebi-gaugzavnes/*

[54] *ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33253895.html*

[55] *საქართველოს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ. მუხლი 7. 2024. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0*

შესაძლებლობას ტრანსგენდერი ადამიანებისთვის მოახდინონ სამოქალაქო დოკუმენტებში მათი გენდერის აღნიშვნა. ეს ცვლილებაც ბლანკეტურია და გამორიცხავს გენდერის აღიარების როგორც ოპერაციული ისე სოციალური ჩვენების არსებობას. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ჯერ კიდევ კანონის მიღებამდე ღრმა შეშფოთება გამოთქვა და მოუწოდა საქართველოს არ მიიღოს ეს კანონი. იმავდროულად, კომიტეტმა მოითხოვა გენდერის მარკერების შეცვლის მარტივი და გამჭვირვალე პროცედურების შექმნა ევროპული კონვენციის შესაბამისად და ხაზი გაუსვა, რომ სანამ ახალი რეგულაციები შეიქმნება, ეროვნულმა უწყებებმა პირდაპირ უნდა გამოიყენონ კონვენციის სტანდარტები.[56]

კანონი კრძალავს **ქირურგიული პროცედურის ჩატარებას და ნებისმიერ სამედიცინო მანიპულაციას** და აღნიშნულის დარღვევისთვის სამედიცინო პერსონალისთვის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს. აღნიშნული ჩანაწერი არაპროპორციულ ზეგავლენას მოახდენს ადამიანების ჯანმრთელობის და სიცოცხლის უფლებაზე, რადგან მსგავსი მანიპულაციის ჩატარება რიგ შემთხვევებში სამედიცინო საჭიროებას უკავშირდება. ამასთან, ადამიანების ნაწილს ვინც ჰორმონულ თერაპიას თუ სხვა ტიპის ტრანსსპეციფიკურ სამედიცინო მხარდაჭერას საჭიროებენ, ბლანკეტურად უკრძალავს ნებისმიერი სერვისის მიღებას. კანონის მიღებამდეც კი, ადეკვატური ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ლგბტქი+ თემის წევრებისთვის, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური ბარიერების, ეროვნული სტანდარტების არარსებობის და ჯანდაცვის სისტემაში დისკრიმინაციული მოპყრობის გამო. ამ მიმართულებით წლების განმავლობაში გაწეული ძალისხმევა, ამ ცვლილებების შემდეგ კი სრულიად დაიკარგა.

კანონის მიხედვით მნიშვნელოვანი აკრძალვები დადგინდა **სკოლამდელი და ადრეული, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების** მიმართულებით. კანონმა აკრძალა სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩართვა საგანმანათლებლო კურიკულუმებში. გარდა ამისა, შემოთავაზებული კანონი ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების კრიმინალიზაციას ახდენს დაწესებულებაში ან მის ტერიტორიაზე. ეს შეზღუდვა ფაქტიურად აჩერებს დისკუსიებს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ, რაც ხელს უშლის არამხოლოდ ლგბტქი+ თემს, არამედ ყველა პროფესიონალს, რომელსაც მსგავსი ინფორმაციის მიღება პროფესიული საქმიანობის განხორციელებისთვის სჭირდება. გარდა აღნიშნულისა, განათლების სფეროში დაწესებული შეზღუდვები, მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის ლგბტქი+ პირებს, რადგან ისინი ისედაც განიცდიან გარიყულობას და ბულინგს განათლების სისტემაში.

კანონის თანახმად, **შრომითი ურთიერთობის** ფარგლებში დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მითითება, მათ შორის დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ბათილად ითვლება, თუ ის მიზნად ისახავს ბიოლოგიური სქესის უგულებელყოფას ან წახალისებას. მიუხედავად იმისა, რომ „ბიოლოგიური სქესის უგულებელყოფის“ სპეციფიკური სფერო ბუნდოვანი რჩება, ეს დებულება წარმოადგენს გამოწვევებს სამუშაო ადგილზე ლგბტქი+ პირებისთვის. ამან შეიძლება გამოიწვიოს დისკრიმინაციული პრაქტიკა, რაც გავლენას მოახდენს მათ თავისუფლად დასაქმებაზე. გარდა ამისა, ეს დამატებით ბარიერს შექმნის თანასწორობის მექანიზმებისთვის, მათ შორის საქართველოს სახალხო დამცველისთვის და სსიპ შრომის

[56] *ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://hudoc.exec.coe.int/#{%22execidentifier%22:[%22004-62861%22]}*

ინსპექციის სამსახურისთვის დასაქმების ადგილზე სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენისას.

კანონის თანახმად, „მაუწყებლებს ეკრძალებათ **ინფორმაციის გავრცელება,** რომელიც ხელს უწყობს ინტიმურ ურთიერთობას ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის და რომლებიც გამოხატავენ სექსუალური ორიენტაციის ნიშნებს“. ეს აკრძალვა ეხება კონკრეტულად „ინტიმური ურთიერთობების ამსახველ სცენებს“ და მაუწყებლები პასუხს აგებენ, თუ მათ არ შეუძლიათ „დაამტკიცონ, რომ არ ახორციელებდნენ კონტროლს კონტენტის გავრცელებაზე“. გარდა ამისა, „აკრძალულია **არასრულწლოვანებთან პირდაპირი კომუნიკაცია** ასეთი ინფორმაციის გაზიარების ან ასეთი შინაარსის შემცველ კრეატიულ ნაწარმოებებზე წვდომის უზრუნველსაყოფად“. აღნიშნული ასევე კრძალავს ნებისმიერი ფორმით მსგავს ინფორმაციებზე არასრულწლოვნების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. გარდა ამისა, „აკრძალულია აგრეთვე სექსუალური ორიენტაციის ნიშნის გამომხატველი ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის ინტიმური ურთიერთობების ხელშეწყობის მიზნით **რეკლამის გავრცელება“.**

ეს შეზღუდვები მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის გამოხატვის თავისუფლებას, განსაკუთრებით მედიასა და შემოქმედებით ნაწარმოებებში მრავალფეროვანი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ასახვას. ასეთი ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვით კანონი ზღუდავს ინდივიდების გამოხატვის შესაძლებლობას და ახშობს საზოგადოებაში ლგბტქი+ იდენტობის შესახებ დისკუსიებს. უფრო მეტიც, კანონში გამოყენებული ბუნდოვანი ენა აჩენს რისკებს პოტენციური ცენზურის და თვითნებური აღსრულების შესახებ.

კანონის თანახმად, **საჯარო შეკრებებსა და დემონსტრაციებს** ეკრძალებათ პიროვნების ბიოლოგიური სქესის ან სექსუალური ორიენტაციის მითითება „ინტიმური ურთიერთობების ხელშეწყობისთვის“. ეს შეზღუდვა აწესებს მნიშვნელოვან შეზღუდვებს საჯარო სივრცეში მშვიდობიანი შეკრების ორგანიზებაზე. ეს შეზღუდვა არა მხოლოდ არღვევს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით, არამედ ხელს უშლის ლგბტქი+ ადამიანების მცდელობებს მოახდინონ მათ წინაშე არსებული პრობლემების ადვოკატირება და გაჟღერება.

საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ თითქმის ყველა სფეროში ეწინააღმდეგება მოქმედ ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობას, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის ნიშნით. ლგბტქი+ სათემო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ კანონპროექტში გამოყენებული მეცნიერულად დაუსაბუთებელი ტერმინოლოგია და ჰომოფობიურ-ტრანსფობიური დაშვებები, ქმნის სამართლებრივი განუსაზღვრელობის პრობლემას - შეუძლებელი ხდება წინასწარ განისაზღვროს, თუ რა ქმედება ან გამოხატვა ჩაითვლება კანონდარღვევად, სამაგიეროდ შესაძლებელია ნებისმიერი ქმედების პოსტფაქტუმ კრიმინალიზება, რაც ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებს და ქმნის დისკრიმინაციული სამართალშეფარდების მაღალ რისკს ნებისმიერი პირისთვის.[57]

---

[57] *ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი. 2024. ხელმისაწვდომია: https://www.wisg.org/ka/news/detail/445*

რელიგიური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოში რელიგიური უმცირესობების მდგომარეობა ბოლო წლებში თანდათან უარესდება. იზოლაციის ტენდენციები მყარდება როგორც საზოგადოებრივ, ისე ინსტიტუციურ დონეზე. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მაკონტროლებელი როლი განსაკუთრებით მძიმედ აისახება საქართველოში რელიგიის თავისუფლებაზე. ამ პროცესს ემატება დისკრიმინაციული კანონმდებლობის საფრთხე, რაც რელიგიური თავისუფლების შეზღუდვას ხელს უწყობს.

ამ მხრივ აღსანიშნავია ახალი თავდაცვის კოდექსი[58], რომელიც დისკრიმინაციულია რელიგიური გაერთიანებების მიმართ. კოდექსი აღარ ითვალისწინებს სასულიერო პირებისთვის სამხედრო სამსახურის გავლის გადავადების უფლებას, რომელიც, პრაქტიკაში, სამხედრო ვალდებულებისგან გათავისუფლებას უტოლდებოდა. ამასთან, სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად, არასამხედრო შრომითი სამსახურის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებზე, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს ყველა სხვა რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებს. შემაშფოთებელია განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შეგროვების უფლებამოსილების საკითხი, კერძოდ, კოდექსის 97-ე მუხლის თანახმად, სამობილიზაციო რეზერვის აღრიცხვის მიზნით, სამობილიზაციო რეზერვის ელექტრონულ სისტემაში შეიტანება ინფორმაცია პირის აღმსარებლობის შესახებ.[59]

2024 წელს რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ გაჟღერდა ინფორმაცია, რაც როგორც რელიგიის, ისე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ნიშნების მატარებელია. 2024 წლის დასაწყისში, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, რელიგიური ნაგებობებისა და ნივთების შეურაცხყოფის კრიმინალიზების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებები დააანონსა.[60] ხოლო, წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“ მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ინიციატივით გამოვიდა.

აღსანიშნავია გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მთავრობამ საპატრიარქოს საგანმანათლებლო დაწესებულებებს 35 მილიონი ლარი გამოუყო. აღნიშნული ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს და კიდევ უფრო მეტად აძლიერებს არსებულ დისკრიმინაციულ პრაქტიკებს. ამასთან, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე მიღებული გადაწყვეტილება ეკლესიის პოლიტიკური გამოყენების მიზნად შეფასდა.[61] 2024 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან რელიგიური ორგანიზაციების სავარაუდო დისკრიმინაციული დაფინანსების საქმეზე არსებითი განხილვის გადაწყვეტილება მიიღო. საქმე შეეხება ბიუჯეტიდან მხოლოდ

---

[58] *თავდაცვის კოდექსი. 2023. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5916285?publication=3*

[59] *ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი. 2024. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში. გვ. 8. ხელმისაწვდომია: https://tdi.ge/sites/default/files/religiis_tavisupleba_sakartveloshi_2023_tdi.pdf*

[60] *სოციალური სამართლიანობის ცენტრის საჯარო განცხადება. 2024. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/FjF4t*

[61] *სოციალური სამართლიანობის ცენტრის საჯარო განცხადება. 2024. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/fnWJi*

ერთი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსებას, რაც დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს სხვა რელიგიურ გაერთიანებებს.[62]

გამოწვევად რჩება მართლმსაჯულების განხორციელება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სავარაუდო მასობრივი უკანონო მოსმენების საქმეზე. მიმდინარე გამოძიება კვლავ არაეფექტიანია და ამ დრომდე არ მომხდარა პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება რელიგიური ფიგურებისა და მათთან დაკავშირებული, ანდა რელიგიის საკითხებზე მომუშავე პირების პირადი ცხოვრების დეტალების ამსახველი ფაილების გავრცელების საქმეზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2024 წელს, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა.[63]

რელიგიური უმცირესობების თანასწორუფლებიანობის მიმართულებით, კვლავაც აქტუალურია უქმე დღეების განსაზღვრის საკითხი. ამის დასტურია საქართველოს პარლამენტის წევრის, ტარიელ ნაკაიძის შემთხვევა, რომელსაც არასაპატიოდ ჩაეთვალა პარლამენტში არ გამოცხადება რელიგიურ დღესასწაულზე. აღნიშნული მჭიდროდ უკავშირდება იმ ფაქტს, რომ საქართველოში უქმე დღეები ექსკლუზიურად მართლმადიდებლურ დღესასწაულებს უკავშირდება და არ ითვალისწინებს რელიგიური მრავალფეროვნების საკითხებს.[64]

სკოლებში რელიგიური რიტუალების ჩატარება კვლავაც მწვავე საკითხად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა უნდა იყოს სეკულარული სივრცე, ხშირია შემთხვევები, როდესაც რელიგიური რიტუალები მოსწავლეების განათლების პროცესში ინტეგრირდება, რაც ხელს უშლის რელიგიურ ნეიტრალიტეტს და აყალიბებს ნეგატიურ განწყობებს სასკოლო სივრცეში. 2024 წელს წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ არწივანის საჯარო სკოლაში, სადაც უმრავლესობა მასწავლებლების და მოსწავლეების მუსლიმია, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ინიციატივით, სასულიერო პირებმა სკოლის შენობა აკურთხეს.[65] მომხდარ ფაქტზე, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მუსლიმ არასრულწლოვნებს და მასწავლებლებს, არაეფექტიანი რეაგირება ჰქონდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ხოლო საქართველოს სახალხო დამცველმა საქმის წარმოება დისკრიმინაციის ფაქტის დაუდგენლად შეწყვიტა.[66]

საგანგაშოა ადიგენის მუნიციპალიტეტში მუსლიმების დევნის განგრძობითი ხასიათის შემთხვევები. 2023-2024 წლებში ადგილი ჰქონდა მუსლიმ თემზე თავდასხმის, მათი შევიწროების და ძალადობის არაერთ შემთხვევას. 2024 წლის 8 მარტს ზარზმის მონასტრის წინამძღვარი, ათეულობით ადგილობრივ პირთან ერთად, კვლავ თავს დაესხა ადიგენში პარასკევის ლოცვაზე შეკრებილ მუსლიმებს. ამ უკანასკნელთა მიმართ ისმოდა

---

[62] *სოციალური სამართლიანობის ცენტრის საჯარო განცხადება, 2024. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/z25s1*

[63] *სოციალური სამართლიანობის ცენტრის საჯარო განცხადება. 2024. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/sotsialuri-samartlianobis-tsentrma-masobrivi-mosmenebis-sakmeze-strasburgs-mimarta*

[64] *ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის განცხადება. ხელმისაწვდომია: https://tdi.ge/ge/news/1096-deputat-tariel-nakaizis-mimart-diskriminaciis-sakme*

[65] *ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/news/514108/#gsc.tab=0*

[66] *დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-10 გვერდზე.*

ჯანმრთელობის დაზიანებისა და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარა.[67] ასევე, 2024 წლის 5 აპრილს ადგილობრივი მართლმადიდებელი სასულიერო პირები და მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფი ისევ მივიდა კერძო სახლში მუსლიმების მიერ ორგანიზებულ სალოცავ სივრცესთან და მუქარისა და შეურაცხყოფის გზით, რელიგიურ ლიდერებს შენობის დატოვებისკენ მოუწოდა.[68] არცერთ შემთხვევაში მონაწილე პირების მიმართ სამართლებრივი ღონისძიებები არ გატარებულა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს არ აქვს მუსლიმი თემის რელიგიის თავისუფლების და თანასწორობის დაცვის პოლიტიკური ნება.

რელიგიური სამლოცველოების საკითხი კვლავაც პრობლემატურია. ბევრი რელიგიური შენობა და სივრცე, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებადაა გამოცხადებული, დაუცველია და შესაბამისი ყურადღება არ ეთმობა. მაგალითად, მეჩეთები, რომლებიც მნიშვნელოვანი კულტურული მნიშვნელობის მატარებელია, არ იღებენ სათანადო დაცვას და აღდგენისთვის შესაბამის ღონისძიებებს. კვლავ პრობლემურია და გადაუჭრელია ბათუმის მეჩეთის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ უკვე წლებია სასამართლოში მიმდინარეობს დავა ამ დრომდე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა და მუსლიმ თემს კვლავ ქუჩაში, სამლოცველოს გარეშე უწევს რელიგიური მრწამსის განხორციელება. ამასთან, კრიტიკულად შეფასდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, 2023 წლის 25 მაისს მიღებული გადაწყვეტილება, როგორც მასში არსებული პრობლემური მსჯელობების ისე, მიმდინარე დავის კიდევ უფრო გაჭიანურების გამო.[69]

ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა

ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია და მათი საჭიროებების ასახვა პოლიტიკურ დღის წესრიგში კვლავ გამოწვევებს უკავშირდება. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის პროცესებში ეთნიკური უმცირესობების დაბალი მონაწილეობა, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. სახელმწიფო ენის არ ცოდნის, სოციალური იზოლაციის და გარიყვის პრაქტიკების გამო ეთნიკური უმცირესობები არ ფლობენ ინფორმაციას სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სერვისების შესახებ. არ სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამებით, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ბავშვების და სოციალური მხარდაჭერის თვალსაზრისით.

2024 წელს გამოქვეყნდა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მეოთხე მოსაზრება საქართველოს შესახებ.[70] ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველოს მოქალაქეობაზე ხელმისაწვდომობა პრობლემურად რჩება ზოგიერთი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლისათვის, რაც, უმეტეს შემთხვევაში, გამოწვეულია მკაცრი ენობრივი მოთხოვნებით და სხვა პრაქტიკული ბარიერებით. ამასთან, კომიტეტი მიუთითებს სამოქალაქო ინტეგრაციის ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე. კერძოდ, სახელმწიფომ ყველა ძალისხმევა უნდა მიმართოს უმცირესობათა შესახებ

---

[67] *ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი. 2024. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში. გვ. 23. ხელმისაწვდომია:* https://tdi.ge/sites/default/files/religiis_tavisupleba_sakartveloshi_2023_tdi.pdf

[68] *სოციალური სამართლიანობის ცენტრის საჯარო განცხადება. 2024. ხელმისაწვდომია:* https://shorturl.at/lKlhf

[69] *ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის საჯარო განცხადება. ხელმისაწვდომია:* https://tdi.ge/ge/news/1070-batumis-axali-mechetis-sakme

[70] *ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მეოთხე მოსაზრება საქართველოს შესახებ. ხელმისაწვდომია:* https://www.coe.int/en/web/minorities/georgia

მოსახლეობაში ცოდნის დონის ამაღლებისთვის და ეთნიკური უმცირესობები უნდა აღიქმებოდნენ, როგორც ქართული საზოგადოების განუყოფელი და ღირებული ნაწილი.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების სიებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა კვლავ კრიტიკულად დაბალი იყო. სოციალური სამართლიანობის ცენტრის ინფორმაციით[71], ხუთი მსხვილი საარჩევნო სუბიექტიდან სიის პირველ 20-ეულში ეთნიკური უმცირესობის წევრი მხოლოდ კოალიციამ ცვლილებებისთვის წარადგინა. ქართული ოცნების სიის პირველ 60-ეულში მხოლოდ 2 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი იყო, ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის სიის პირველ 40-ეულში კი მხოლოდ 1. დანარჩენი მსხვილი ოპოზიციური გაერთიანებებისა და პარტიების სიებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები „გამსვლელი" ადგილებით არ იყვნენ წარმოდგენილი.

დასკვნა

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისი ადამიანის უფლებების მნიშვნელოვან გამოწვევებს ქმნის და არაპროპორციულ გავლენას ახდენს თანასწორობის მდგომარეობაზე. ამ ვითარებაში განსაკუთრებით ზიანდება თანასწორუფლებიანობის მისაღწევად წლების განმავლობაში გაწეული ძალისხმევა და ის პროგრესი რაც სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით იქნა მიღწეული.

სახელმწიფო პოლიტიკა თანასწორობის წინააღმდეგ მიზანმიმართულ ნაბიჯებთან ერთად, საზოგადოებაში დისკრიმინაციის და ძალადობის წახალისებისკენაა მიმართული. სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებიდან თანასწორობის საკითხების გაქრობასთან ერთად, 2024 წელს დისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღებით გამოირჩეოდა. თავდასხმა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და ლგბტქი+ ადამიანების წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობა ყოველდღიურ რეჟიმში დისკრიმინაციულ ვითარებაში აყენებს საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებს.

განსხვავებული მოსაზრებისადმი ძალადობის დაპირისპირებით, უპრეცენდენტო შევიწროების, დევნის და არასათანადო მოპყრობის პრაქტიკა შეიქმნა მოსახლეობის მიერ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას. საპროტესტო აქციების მონაწილეების მიმართ გამოყენებული არაპროპორციული ძალის მიღმა, პრობლემად რჩება საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების შევიწროება და სამსახურიდან გათავისუფლების პრაქტიკები.

გამოხატვის თავისუფლების რეპრესია ავტორიტარიზმის გამყარების ინსტრუმენტია, სადაც მთლიანად დაიკარგება მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და განსხვავებულისადმი პატივისცემა. სახელმწიფოს გაცხადებული პოლიტიკური კურსი ქვეყანას სულ უფრო მეტად აშორებს ევრო-ატლანტიკური პროცესებისგან და საერთაშორისოდ აღებული ვალდებულებების შესრულება კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.

ამ ფონზე, განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში იმყოფებიან ის ჯგუფები, რომელთა თანასწორუფლებიანობა დისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღებამდეც საკმაოდ მძიმე გამოწვევების წინაშე იდგა. დღეს, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი ლგბტქი+ ადამიანები არიან, რომელთა მიმართ სახელმწიფო იყენებს არაპროპორციულ

[71] *სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2024. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/Xn5d5*

რეპრესიულ ინსტრუმენტებს. მათი საჯარო სივრცეებიდან განდევნის, მათი საჭიროებების თუ გამოწვევების უგულებელყოფის და ფუნდამენტური უფლებების აკრძალვით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ბავშვები და ქალები კვლავ სისტემური უთანასწორობის გამოწვევის წინაშე დგანან. პოლიტიკური კრიზისის ფონზე არ ხორციელდება რეფორმები და არ შეინიშნება გაუმჯობესება ცხოვრების არცერთ სფეროში. დაწყებული პროცესებიც რისკის ქვეშ დგას, რადგან საქართველოს ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის პირობებში არაერთი საერთაშორისო მხარდაჭერის პროგრამა შეჩერდა. რაც ხშირ შემთხვევაში მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის სერვისების მიწოდების ერთადერთი წყარო იყო.

მეტი აქტიურობა და ჩართულობაა საჭირო საქართველოს სახალხო დამცველის მხრიდან, რადგან, როგორც თანასწორობის ორგანოს, მას აკისრია უმნიშვნელოვანესი როლი სახელმწიფოს დისკრიმინაციულ პოლიტიკას დაუპირისპიროს მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასებები. განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დისკრედიტაციის და შევიწროების პირობებში, როდესაც დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი შესაძლოა უყურადღებოდ დარჩეს.

რეკომენდაციები

- სახელმწიფო პოლიტიკის სამართლებრივ ჩარჩოებში დაბრუნებისთვის მნიშვნელოვანია ხელახალი არჩევნების დანიშვნა და მისი წარმართვა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, დაშინების, ძალადობის პრაქტიკების გამოყენების გარეშე და ხმის მიცემის ფარულობის სრულყოფილი დაცვის პირობებში, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების მონაწილეობით.
- დაუყოვნებლივ გაუქმდეს საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობისა და საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებასა და დემოკრატიულ პროცესებზე უარყოფითი ზემოქმედების გამო.
- დაუყოვნებლივ გაუქმდეს საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებების და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ და მისი თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებები, დისკრიმინაციული ბუნების, საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო. სამომავლოდ, უზრუნველყოფილი იყოს ყველა მიღებული კანონის შესაბამისობა თანასწორობის ძირითად პრინციპებთან.
- შესწავლილი იქნას ლგბტქი+ ადამიანების უფლებრივ მდგომარეობაზე დისკრიმინაციული კანონის ზეგავლენა და შესაბამისი ინტერვენციები განხორციელდეს მათი უფლებრივი მდგომარეობის აღდგენის, კანონით მიყენებული ზიანის შემცირების და აღმოფხვრისათვის. მათ შორის, სათემო ორგანიზაციების გაძლიერების და მათი მხარდაჭერის მიმართულებით.

კოალიცია თანასწორობისთვის

ჭოველიძის ქ. 10, თბილისი, საქართველო

+995 568 47 14 14

thecoalitionforequality@gmail.com

https://www.facebook.com/coalitionforequality